



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	საჯარო მმართველობა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Public Administration
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური პროგრამა
სწავლების ენა	
	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
ინლისურად:	Master of Public Administration
პროგრამის ხელმძღვანელი	თანახელმძღვანელები: პროფესორი, დოქტორი დავით ლოსაბერიძე; საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, სერგი კაპანაძე
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – მერყეობს 28-32 ECTS კრედიტს შორის. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (დასაშვები ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი). სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 (21– დასკვნითი გამოცდის გადაბარების შემთხვევაში) სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 (42) კვირაზე. სწავლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის სემესტრშიც, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების	

შესაბამისად. ზაფხულის სემესტრი შედეგა 6 სასწავლო კვირისგან, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ-საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, საშინაო დავალების მომზადების, სახლში წერითი დავალებების მომზადების (ესე, საკურსო, კვლევითი ნაშრომი) და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრედიტ-საათსა და პროფესორთა კონსულტაციების საათებს.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 3 აკადემიური წლისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის, 50 ECTS – სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდული, 30 ECTS - კვლევის და პრაქტიკის მოდული (შეთავაზებულია 45 ECTS) და სპეციალობის არჩევითი საგნების მოდული, 40 ECTS (შეთავაზებულია 89 ECTS); არჩევითი საგნების მოდული შედგება საჯარო მმართველობის და პოლიტიკის ბლოკისგან (58 ECTS) და უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის ბლოკისგან (31 ECTS);

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 17 კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი (3 ECTS). სამაგისტრო ნაშრომი და კვლევის დიზაინი შედის კვლევის და პრაქტიკის მოდულში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას აირჩიოს 10 ECTS თავისუფალი კრედიტი არჩევითი მოდულის საგნების ნაცვლად კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან, პარტნიორი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებიდან და ECTS კრედიტების მიმნიჭებელი სხვა პროგრამებიდან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, სტუდენტის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ.

პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ამ ცოდნის დადასტურება უნდა შეძლოს დიპლომის დანართით, ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირება, რომლის შეფასების კრიტერიუმები დგინდება წინასწარ, სკოლის საბჭოს მიერ. აპლიკანტები, რომლებსაც დასრულებული აქვს ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, თავისუფლდებიან აღნიშნული სერტიფიკატის და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირების ვალდებულებისაგან.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლაში გადმოსვლისას სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის პროგრამის დირექტორი და სკოლის დეკანი ინგლისურ ენაში ზემოთ დათქმული პირობების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება სტუდენტის მობილობის შესახებ ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიან ბრძანებაში.

პროგრამის მიზანია თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი,

<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>მაღალი ეთიკური სტანდარტების მქონე პროფესიონალი საჯარო მოხელეების აღზრდა და ამით ქვეყანაში სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სისტემის თვისებრივი გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალი სახელმწიფო მოხელეების აღზრდა, რომლებსაც ექნებათ მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა საჯარო მმართველობის სფეროში და პრაქტიკული უნარები ქვეყნის მართვის პროცესში შესაბამისი ფუნდამენტური ცვლილებების განსახორციელებლად.</p> <p>მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა გაწევრიანებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელში (NISPAcee). სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები და მათ შორის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება ქსელის წევრი უნივერსიტეტების მიერ აღიარებულ სტანდარტებს და თანხვედრაშია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტის ამავე მიმართულების პროგრამებთან.</p> <p>კავკასიის საჯარო მმართველობის სკოლისა და პროგრამის განვითარების კონცეფცია და ამასთანავე თავად პროგრამები 2006 წლიდან შემუშავებულია და გავითარებულია NISPAcee ქსელის პრეზიდენტის (ორი ვადით არჩეული გარდაცვალებამდე 2012წ.) დოქტორი, პროფესორი მზია მიქელაძის მიერ.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<ul style="list-style-type: none"> ❖ აქვს საჯარო მმართველობის, საჯარო პოლიტიკის, პოლიტიკური თეორიის, საჯარო პერსონალის მართვის, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკის, საჯარო ფინანსების თანამედროვე კონცეფციებისა და თეორიების; ადმინისტრაციული და კონსტიტუციური სამართლის პრინციპების, ორგანიზაციული თეორიისა და ქცევის, სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპებისა და თეორიების ცოდნა; ❖ ფლობს საფუძვლიან ცოდნას საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თეორიებისა და პრაქტიკის შესახებ; ❖ იცნობს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის თანამედროვე მიდგომებს; ❖ გააზრებული აქვს სამართლისა და კანონმდებლობის როლი სახელმწიფო მართვაში და აცნობიერებს მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლს დემოკრატიული, გამჭვირვალე, კანონის უზენაესობაზე დამყარებული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში; ❖ აქვს მომიჯნავე დარგების და მათ შორის არსებული კავშირების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და გაცნობიერებული აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამგვარი კავშირების და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენების მნიშვნელობა.
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>საჯარო მმართველობის მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, საკონსულტაციო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო და მაღალი დონის მენეჯერებისა და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე.</p>

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.</p>
--	---

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებებს;
- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუასემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, კვლევა, ესე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა სამინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტის ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდაზე, ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე, მისი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამავე დროს შესაბამისი დრო ეთმობა სტუდენტში თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარების გამომუშავებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარებისა, ერთდღიანი ლექციების და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება სახელმწიფო მმართველობაში. პროგრამის ბოლოს სტუდენტმა საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა მოამზადოს სამაგისტრო ნაშრომი, სადაც იგი გამოიყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და კვლევის უნარ-ჩვევებს.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
მოდული – სპეციალობის სავალდებულო საგნები				
1. პოლიტიკური თეორია	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ანტიკური ეპოქის პოლიტიკურ თეორიებს პლატონისა და არისტოტელეს პოლიტიკურ შეხედულებებს. ციცერონის პოლიტიკურ ფილოსოფიას. შუა საუკუნეების მოაზროვნეების - ნეტარი ავგუსტინე, ალ ფარაბი, თომა აქვინელი - პოლიტიკურ თეორიებს. ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური და ადამიანური მორალის დეფინიციის საკითხებს. ახალი დროის მოაზროვნეთა პოლიტიკური, სოციალურ და სახელმწიფოებრივ თეორიებს ჯონ ლოკის, თომას ჰობსის, ჟან ჟან რუსოს, იმანუელ კანტისა და სხვათა მოძღვრებათა საფუძველზე.	სავალდებულო	7	I
2. ადმინისტრაციული სამართალი	კურსი მიმოიხილავს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის თეორიებსა და ძირითად ინსტიტუტებს, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას.	სავალდებულო	5	I
3. ეკონომიკა	კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: ეკონომიკის სახელმწიფო მართვის მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პრინციპებისაგან. განხილულია სახელმწიფოს მიერ როგორც ბიზნეს საქმიანობის, ასევე სექტორული ეკონომიკის რეგულირების, მართვის ბერკეტები და ფუნქციები, ასევე სახელმწიფო სტაბილურობის, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური რისკების თავიდან აცილებისა და რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების კონცეპტუალური საკითხები.	სავალდებულო	5	I
4. პოლიტიკური კომუნიკაცია	პოლიტიკური კომუნიკაციის კურსი სტუდენტებს აძლევს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკული რეალობის ანალიზისა და უკეთ გაგების ინსტრუმენტარს.	სავალდებულო	5	III
5. სახელმწიფო მართვა	კურსი მიმოიხილავს სახელმწიფო მართვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს და მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს სისტემური ცოდნა სახელმწიფო სისტემის მოწყობის, საჯარო სექტორის ფუნქციონირების და საჯარო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და თავისებურებების შესახებ. სტუდენტები გაეცნობიან სახელმწიფო მართვის, როგორც აკადემიური დისციპლინის ძირითად თეორიებს, შეისწავლიან მისი განვითარების ისტორიას, ასევე, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საჯარო სექტორში განხორციელებულ რეფორმებსა და გარდაქმნის	სავალდებულო	6	II

	ტენდენციებს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, მაგალითზე.			
6. საჯარო პოლიტიკის ანალიზი	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან საჯარო პოლიტიკის ანალიზის თეორიას და პრაქტიკულ მეთოდებს. სტუდენტები გაეცნობიან საჯარო პოლიტიკის ანალიზის პროცესს, ძირითად ცნებებს და თეორიულ ჩარჩოს, ასევე პოლიტიკის კურსის ეტაპების ანალიზის პრაქტიკულ ინსტრუმენტებს და პოლიტიკის ბარათის შემუშავების მეთოდებს.	სავალდებულო	6	II
7. საჯარო ორგანიზაციების მართვა	სასწავლო კურსის: "საჯარო ორგანიზაციების მართვა" მიზანია სტუდენტებს გააცნოს საჯარო ორგანიზაციების მართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები საერთაშორისო და საქართველოს მაგალითზე.	სავალდებულო	5	II
8. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	კურსის შედეგმა ისეთი თემებისგან, როგორცაა კონსტიტუციონალიზმის იდეა და „სამერთლერბრივი სახელმწიფოს“ ძირითადი სამართლებრივი პოსტულატები. კონსტიტუციური მართლწესრიგი და კონსტიტუციური სამართლის ადგილი სამართლის საერთო სისტემაში. ადამიანის და მოქალაქის ძირითადი უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მახასიათებლები და სხვა.	არჩევითი	5	III
9. საჯარო ფინანსები და სახელმწიფო ბიუჯეტირება	სასწავლო კურსი ორიენტირებულია სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, ასევე დეტალურად იქნება განხილული სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საფინანსო სექტორის სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხები.	სავალდებულო	6	III
სპეციალობის არჩევითი საგნების მოდული				
საჯარო მმართველობის და პოლიტიკის ბლოკი				
10. საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები	სასწავლო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტმა შეისწავლოს პოლიტიკური პარტიების არსი, მისი საქმიანობა და მნიშვნელობა დემოკრატიულ ქვეყანებში, ასევე საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში. სტუდენტი შეისწავლის პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მართვის თავისებურებებს და საარჩევნო კამპანიის დაგეგმარებას, მენეჯმენტს და ამ პროცესში საზოგადოებასთან ურთიერთობის თავისებურებებს.	არჩევითი	5	I
11. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია.	Course provides knowledge about the transformative processes that have taken place in Central and Eastern Europe as a result of region's approximation with the European Union. Course provides theoretical outlook on the process of Europeanization. At the same time it will look at different Policy areas where Europeanization was substantial and will examine case studies of particular countries. The course will also look at	არჩევითი	5	I

	the accession process, identifying main milestones in the EU's relations with the neighboring countries.			
12. საჯარო პერსონალის მართვა	სასწავლო კურსი სტუდენტებს შეასწავლის საჯარო სექტორში პერსონალის მართვის სისტემას, მის როლს, ამოცანებს და კომპონენტებს.	არჩევითი	5	II
13. საჯარო სექტორის ეთიკა	კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან საჯარო სამსახურში კორუფციული საქმიანობის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმებს, როგორცაა: საჯარო მოსამსახურის მიერ სამეწარმეო საქმიანობის წარმოება; საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივი შეუთავსებლობა; პოსტსამსახურებრივ საქმიანობასთან და საჩუქრების მიღებასთან დაკავშირებული ნორმების დარღვევა და საჯარო სამსახურში სტუმართმასპინძლობის გამოვლენის სხვადასხვა უკანონო ფორმები.	არჩევითი	5	II
14. სოციალური პოლიტიკა	კურსის განმავლობაში სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან სოციალური პოლიტიკის როლს და მნიშვნელობას საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების პროცესში. სტუდენტები გაეცნობიან სოციალური პოლიტიკის ტიპებს და ფორმებს, ძირითად ცნებებს და იდეოლოგიურ პერსპექტივებს.	არჩევითი	5	III
15. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემები	კურსის მიზანია ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის საკანონმდებლო, ფისკალური და ადმინისტრაციული ჩარჩოს განხილვა საერთაშორისო დონესა და საქართველოს რეალობაში. ამ ჩარჩოს გაგება სტუდენტს დაეხმარება განსაზღვროს მთავრობების ეფექტურობა ორივე დონეზე.	არჩევითი	5	III
16. ურბანული დაგეგმარება	სასწავლო კურსში სისტემურადაა წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარების ფუნქციურ-ტერიტორიული მხარე, განსახლების სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობები, ურბანიზაციის პროცესი და მისი თანმხლები ძვრები ანთროპოგენურ და ბუნებრივ გარემოში, სივრცის სტრუქტურირების იერარქიულ-ტაქსონომეტრიული აღნაგობა, ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემატიკა.	არჩევითი	5	II
17. აფხაზეთის კონფლიქტი	სასწავლო კურსის მიზანია დაეხმაროს კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებულ სტუდენტებს უკეთ გაერკვნონ აფხაზეთის კონფლიქტის არსში, მის დეტალებსა და თავისებურებებში. კურსი ასევე მიზნად ისახავს გამოავლინოს კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილე სხვადასხვა აქტორების ინტერესების და პოზიციების გამოკვეთას.	არჩევითი	4	III
18. საგადასახადო სისტემები და საქართველოს საგადასახადო კოდექსი	სასწავლო კურსი ეხება სახელმწიფო ფულადი ფონდების შევსების ისეთ უმნიშვნელოვანეს წყაროს, როგორცაა საგადასახადო შემოსავლები. საგადასახადო სისტემის გარეშე სახელმწიფოს ფუნქციონირება შეუძლებელია.	არჩევითი	5	IV

19. პოლიტიკური ლიდერობა	სასაწავლო კურსი კონცენტრირებულია მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ – პოლიტიკური ლიდერობის პრობლემებზე. კურსის ქვაკუთხედს წარმოადგენს წარსულსა და თანამედროვეობაში პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილის – პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის შესწავლა.	არჩევითი	4	IV
20. სტრატეგიული მენეჯმენტი	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან სტრატეგიული მენეჯმენტის ცნებებს, სტრატეგიული მართვის თეორიებს, სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუმენტებს, სტრატეგიის განხორციელების ეტაპებს, მონიტორინგის და შეფასების მეთოდებს და გააცნობიერებენ სტრატეგიული გეგმის როლს ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.	არჩევითი	5	IV
21. პროექტის მართვა	პროექტის მართვის კურსის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან პროექტის მენეჯმენტის როლს და მნიშვნელობას, პროექტის მენეჯმენტის პროცესს, პროექტის არსს და მიზნებს.	არჩევითი	5	IV
უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ბლოკი				
22. დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა	კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტების დასახვის პროცესები და საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტები.	არჩევითი	7	I
23. რეგიონული პოლიტიკა	კურსის მიზანია წარმოაჩინოს რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების გეოპოლიტიკა, არსებული საფრთხეები და მათი გადაჭრის გზები. კურსის მსვლელობისას სტუდენტებს მიეცემათ საშუალება მიიღონ ცოდნა გეოპოლიტიკისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებზე და პრობლემებზე, თეორიებზე და რეგიონში თუ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე სიახლეებზე და განვითარებულ პროცესებზე.	არჩევითი	5	I
24. საერთაშორისო უსაფრთხოება	სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან საერთაშორისო უსაფრთხოების რაობას, მის მრავალგანზომილებიან ხასიათს, სუბიექტებსა და უსაფრთხოების მიღწევის საშუალებებს. შეისწავლიან საერთაშორისო უსაფრთხოების ტრადიციული და შედარებით ახლად წარმოჩენილ თეორიებს, საერთაშორისო უსაფრთხოების სიტემის მთავარ უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო ინსტიტუტებს, მათ კომპეტენციებსა და როლს ხსენებულ სიტემაში, ამ ინსტიტუტების მუშაობის წესს.	არჩევითი	6	II
25. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	კურსის მიზანია სტუდენტს მიაწოდოს ემპირიული ინფორმაცია 1991-2005 წლებში საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების შესახებ. ასევე იქნება საუბარი საქართველოს ურთიერთობებზე მეზობელ სახელმწიფოებთან და რეგიონის წამყვან ძალებთან.	არჩევითი	5	II

26. კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები	იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო პოლიტიკის და დიპლომატიის მაგისტრატურა ორიენტირებული როგორც თეორიული ცოდნის და მიმართულების მქონე მაგისტრანტების მომზადებაზე, ისე პრაქტიკოსი მომლაპარაკებლების და დიპლომატების გაზრდაზე, კურსი მიზნად ისახავს ამ ორი – თეორიული და პრაქტიკული ასპექტის შერწყმას. კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისათვის აუცილებელი თვისებები, ასევე ის თეორიული წანამდგარები, რისი ცოდნაც აუცილებელია მომლაპარაკებლის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად.	არჩევითი	5	III
27. საერთაშორისო სამართალი	კურსი განიხილავს და შეისწავლის საერთაშორისო სამართალსა და ორგანიზაციას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. საერთაშორისო სამართალი წარმოდგენილია როგორც მისი ღირებულებითი (აქსიოლოგიური), ნორმატიული და ინსტიტუციური ასპექტების ერთობლიობა და ერთგვარი კონცეპტუალური ჩარჩო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ახალი გამოწვევების გასაანალიზებლად განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში.	არჩევითი	5	III
28. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა	სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის ძირითად თეორიულ მიდგომებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისა და მშვიდობის კვლევების ფარგლებში.	არჩევითი	5	III
30. მშვიდობის თეორიები	კურსი ფოკუსირდება მშვიდობის თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოებზე და დაეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიგონ მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ანალიზის რთული და მრავალმხრივი ბუნება. ასევე, როგორ არის ორგანიზებული სამშვიდობო საქმიანობა. განხილულ იქნება მშვიდობის თეორია, მშვიდობის მშენებლობა და სამოქალაქო საზოგადოების როლი მშვიდობის მშენებლობაში. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მშვიდობის პრობლემებთან დაკავშირებულ ეთიკურ საკითხებს, მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკური ეკონომიკას, გარდამავალ პერიოდში სამართლიანობის აღდგენის პრობლემებს. კურსი განიხილავს კონფლიქტის რაობას, ზოგადად ომის განზომილებებს და იმ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე ეპოქაში ძალადობისა და კონფლიქტების წარმართვისას.	არჩევითი	5	III
კვლევისა და პრაქტიკის მოდული				
31. აკადემიური წერა	კურსის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს აკადემიური და კვლევითი ნაშრომების მომზადებისა და წარდგენის უნარები. სალექციო კურსი აგებულია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპების გამოყენებით და მიმოიხილავს ტექსტზე მუშაობის ზოგად პრინციპებს, წერის პროცესის	არჩევითი	5	I

	შეფასებას და წერისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს, ასევე წერის სხვადასხვა ჟანრებს.			
32. კვლევის მეთოდები	კურსის მიზანია რაოდენობრივი მონაცემების და თვისობრივი მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ინტერპრეტაცია, მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი პრაქტიკული შეფასების და დასკვნების გამოტანა და ინტერპრეტაცია.	არჩევითი	5	I
33. რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემთა ანალიზი	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოყენებული კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები. კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა შეძლოს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტენდენციებისა და მეთოდების გარკვევა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება.	არჩევითი	5	III
34. სტატისტიკური ანალიზი	კურსი მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია. აგრეთვე, როგორ უნდა მოხდეს ამ მონაცემების გააზრება, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	არჩევითი	5	III
35. პრაქტიკა	სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მართვის სკოლა სტუდენტებს უდგენს პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით კომპონენტებს, რომლებიც გულისხმობს საგნებისა და პრაქტიკის ორგანულ სინთეზს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის სასურველ კვლევით და სასწავლო პრაქტიკას.	არჩევითი	5	IV
36. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შექმნაში. კურსის განმავლობაში სტუდენტები ჩამოაყალიბებენ საკვლევ კითხვას, განავითარებენ ჰიპოთეზას, გამოყოფენ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს, შეიმუშავენ სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, შეარჩევენ შესაბამის თეორიულ სკოლას, რომელიც ხსნის მათ მიერ ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას.	სავალდებულო	3	IV
37. სამაგისტრო ნაშრომი	კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამების დასრულებისას მაგისტრანტი ქმნის სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს ინდივიდუალურად შესრულებულ თეზისს. სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს სპეციალიზაციის სფეროში შესრულებული თეზისი.	სავალდებულო	17	IV